

**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს**

**აკადემიური პოზიციის დასაკავებლად**

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

- 1.1 ახლო აღმოსავლეთის ისტორია (1 ვაკანსია პროფესორი) ;
- 1.2 ფსიქოლოგია (1 ვაკანსია - პროფესორი) ;
- 1.3 მსოფლიო ისტორია და საქართველო ( 2 ვაკანსია - პროფესორი) ;
- 1.4 სისხლის სამართალი (1 ვაკანსია - პროფესორი) ;
- 1.5 ფიზიკა (2 ვაკანსია - პროფესორი) ;
- 1.6 მათემატიკა (1 ვაკანსია - პროფესორი) ;
- 1.7 ვალდებულებითი სამართალი (1 ვაკანსია - პროფესორი) ;
- 1.8 ფინანსები (1 ვაკანსია - პროფესორი; 1 ვაკანსია-ასოცირებული პროფესორი) ;
- 1.9 მენეჯმენტი (1 ვაკანსია - პროფესორი) ;
- 1.10 ეკონომიკა (2 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი) ;
- 1.11 მარკეტინგი (1 ვაკანსია- ასოცირებული პროფესორი) ;
- 1.12 ლიტერატურა და ხელოვნება (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი)

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- 2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.

- 2.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
  - 2.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
  - 2.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2022 წლის 4 ივლისიდან - 2022 წლის 7 ივლისის ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
- 4.1. ბიოგრაფია (CV);
  - 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
  - 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
  - 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
  - 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
  - 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.com/221514293199459>
6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.
7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2022 წლის 8 ივლისიდან - 2022 წლის 13 ივლისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2022 წლის 14 ივლისიდან - 2022 წლის 20 ივლისის ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირებთან შეთანხმების საფუძველზე.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@freeuni.edu.ge](mailto:Vacancy@freeuni.edu.ge)